აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-18

გორი 23 03 2018წ.

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (22.03.2018. N322352) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია დანართის შესაბამისად;

2. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს დადგენილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

3. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აჩევა ხორციელდება უნივერსიტეტის ფაკულტეტზე. ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევნების გამოცხადების ერთერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მოცემულ მიმართულებაში/დარგში/ქვედარგში სათანადო რაოდენობის ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობა წარმოადგენს. აღნიშნული დატვირთვის წლიური მოცულობა (რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სახის დატვირთვას) უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600 სთ-ს, მათ შორის საკონტაქტო მუშაობის რაოდენობა - არანაკლებ 150 სთ-ს. ამასთანავე, აღნიშნული ვაკანტური აკადემიური დატვირთვის არსებობა, მაღალი ალბათობით, უნდა იკვეთებოდეს არანაკლებ მომდევნო სამი წლის განმავლობაში.

აკადემიური დატვირთვის რაოდენობა, თავისმხრივ, დამოკიდებულია საგანმანათლებლო პროგრამისა და საწავლო კურსების სპეციფიკაზე, პროგრამაზე დაგეგმილ მისაღებ კონტინგენტზე (პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის სასწავლო კურსების შემთხვევაში) ან არსებული სტუდენტების რაოდენობაზე, სასწავლო კურსის განსახორციელებლად აუცილებელ, უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებულ მატერიალურ რესურსზე (მაგ., აუდიტორიების, ლაბორატორიების ტევადობაზე, ინვენტარის რაოდენობაზე და სხვ.).

საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით მიზანშეწონილია, რომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო კურსების არანაკლებ 50%-ის პასუხისმგებელ ლექტორებს სასწავლო უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები შეადგენდნენ. ამასთანავე, მიზანშეწონილია პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფარდება პროგრამის სტუდენტთა რაოდენობასთან არ იყოს 1/40-ზე ნაკლები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული სხვა ვაკანტური სასწავლო კურსები ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალის მიერ. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალისადმი ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს შესასრულებელ სამუშაოსთან მათი კვალიფიკაციის შესაბამისობა, სათანადო მოტივაცია და საქმიანობის რეალური შესაძლებლობა, რაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათი საქმიანობის მოცულობაზეა დამოკიდებული.